საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN14

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

28 დეკემბერი 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6.იზა მაგრაქველიძე; 7. გიორგი ბარათაშვილი ; 8. რუსუდან კოვძირიძე; 9.ნატალია ასათიანი,10. დავით ცხადაძე;11. ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: 0;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ფიქრია ბუსკივაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 11 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის № 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2823346120, 12.12.2023 წ.);

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 13 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2823346120, 12.12.2023 წ.);

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2823346120, 12.12.2023 წ.);

ძოძხს.: ბ. ბუცხოიკიძე

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

6. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2823346120, 12.12.2023 წ.).

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის № 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილ სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილების განხორციელება გამოწვია მიმდინარე პროცესებმა, კერძოდ:

საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსი" 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), 2024 წლის 01 იანვრამდე ახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური, ხოლო 2024 წლის 01 იანვრიდან აღნიშნულ უფლებამოსილებებს კოდექსის შესაბამისად განახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო

საძაოთლის იუოიდიული ძიოი. აღხიძხულის გათვალისხიხებით, კახოხძდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, საჭიროა 2024 წლის 01 იანვრიდან გაუქმდეს მერიაში მოქმედი ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული.

აღნიშნულის გათვალისწინებით საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია მერიის სტრუქტურული ერთეულის ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება მერიის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურა.

საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის“ 180-ე მუხლის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისათვის, 2023 წლის -30 ნოემბრიდან დაწყებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რეორგანიზაცია ხორციელდება სამ ეტაპად: პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა; მეორე ეტაპი - რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება; მესამე ეტაპი - რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მობილობა.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის № 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტში (**ამოღებული იქნა დადგენილებით დამტკიცებული დებულების დანართის მე-11 მუხლიდან მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი; მე-12 მუხლიდან მე-8 პუნქტი და მე-19 მუხლიდან მე-5 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი; -სტრუქტურული ერთეული და ფუნქციები**);

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი„თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 13 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად ,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის

საძსახურის დებულების დამტკიცების ძესახებ" თერჯოლის ძუხიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 13 დადგენილების პროექტი;

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

3. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, კ.კაცაძემ;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დასამტკიცებლად წარედგინოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

4. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებისა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დაფინანსებით მომდევნო წლის 01 იანვრიდან ხორციელდება საჯარო დაწესებულებებში თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეების სახელფასო განაკვეთების 10%-იანი ზრდა.

აქედან გამომდინარე ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვარი N14 დადგენლებაში ცვლილების მიზანია, მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება შესაბამისობაში იყოს შრომის ანაზღაურების სისტემის ძირითად პრინციპებთან.

აღნიშნული ცვლილების განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი დაფინანსება განსაზღვრულია 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, ჯემალ ისაკაძემ;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დასამტკიცებლად წარედგინოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

5. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

6. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებლის განმარტებით დადგენილების პროექტიდან (სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციისა და გაწვევის სამსახური ამოღებული იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის შედგენაზე;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: